



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ფრიდონ შენგელია

„---12---“ ---07--- 2016 წელი

ეგზ. N2

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
2015 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიში 43/36

სარჩევი

სარჩევი	2
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძველი:	4
ფულადი სახსრები.....	4
ძირითადი აქტივების არასრულად ასახვა.....	4
დებიტორული დავალიანება.....	6
კრედიტორული დავალიანება.....	8
პირობითი აუდიტორული მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	9
სხვა საკითხები	9
ხელმოწერები:.....	14

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში „სამინისტროს“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს **2015 წლის 31 დეკემბრის** მდგომარეობით: ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს - ბალანსს (ფორმა N1); ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს (ფორმა N2); ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს (ფორმა N3); კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს (ფორმა N4); ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშს (ფორმა N5); ინფორმაციას ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ (დანართი N1); ანგარიშს შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (დანართი N2); ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (დანართი N3); ანგარიშს ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ (დანართი N4); ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (დანართი N5); ანგარიშს არასოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ (დანართი N6); ინფორმაციას მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ (დანართი N7); ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე (დანართი N8); ინფორმაციას ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული დებიტორული დავალიანებათა შესახებ (დანართი N9); ინფორმაციას ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ (დანართი N10); ინფორმაციას დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ წრილში (დანართი N11); ინფორმაციას კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ წრილში (დანართი N12) მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4200) შესაბამისად. პასუხისმგებლობა გულისხმობს

აუდიტორული პროცედურების იმგვარად წარმართვას, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძველი:

ფულადი სახსრები

სამინისტროს ბალანსი არასწორად ასახავს ფულად სახსრების ანგარიშს. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)“, დანართი N1-ში „ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაციაში“ „ფულადი სახსრების“ („სხვა ანგარიშები ხაზინაში“) ანგარიშზე ნაშთი 2015 წლის დასაწყისისთვის ასახულია 62,643 ლარი, მაშინ როდესაც 2015 წლის ხაზინის მიზნობრივი გრანტის ამონაწერის თანახმად ნაშთი 2015 წლის დასაწყისისთვის იყო 66,229 ლარი, ანუ 3,586 ლარით მეტი. აღნიშულთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა სამინისტროს განმარტება¹.

სამინისტროს მიერ არ სრულდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-4 მუხლის მოთხოვნა - „ინვენტარიზაციის ჩატარების სარეკომენდაციო ვადები“, რომლის თანახმად ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია – კვარტალში ერთხელ მაინც.

ძირითადი აქტივების არასრულად ასახვა

1. სამინისტროს მიერ არ არის აღმოფხვრილი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში ასახული შეუსაბამოებები. შედეგად, სამინისტროს ბალანსი არასრულად ასახავს გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებს (ძირითად აქტივებს), რადგან ბალანსში 2015 წლის 1 იანვრისთვის და 2015 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის ასახული შესაბამისად 3,274,463 ლარის და 1,552,435 ლარის ღირებულების არაფინანსურ აქტივები, მათ შორის: 23 ხელოვნურსაფარიანი მოედანი საერთო ღირებულებით - 1,058,138 ლარი და 17 ასფალტაფარიანი მოედანი საერთო ღირებულებით 368,480 ლარის ოდენობით, ასევე პროგრამა „პატრიოტული ბანაკების“ ინფრასტრუქტურა, მათ შორის: წყალტუბოს ბანაკი - 24,750 ლარის ღირებულებით და ტურისტული სახლი „თბილისის ზღვა“ - 101,067 ლარის

¹ სამინისტროს განმარტება: 2014 წლის ბოლოს გრანტის ნაშთი შეადგენდა 62643 ლარს (იხ. ამონაწერი 2014წ.), შესაბამისად 2014 წლის ბოლოს და 2015 წლის დასაწყისში ფინანსური ანგარიშგების დანართი N1-ში ფულადი სახსრების ნაშთი ასახულია ამ თანხით. სპორტული ფედერაციების ნაწილმა 2014 წელს მიღებული გრანტებიდან აუთვისებელი თანხები - ჯამში 3586 ლარის ოდენობით, მოაბრუნა 2015 წელს. სახაზინო სამსახურის მიერ, 2015 წელს მობრუნებული თანხა ავტომატურად აისახა წლის დასაწყისში არსებულ ნაშთში, რის გამოც, 2015 წლის ამონაწერში (თან ერთად), 2014 წლის ბოლოს არსებული ნაშთის 62643 ლარის ნაცვლად დაფიქსირებულია 66229 ლარი (3586 ლარით მეტი);

ღირებულებით, რომლებიც სამინისტროს შექმნამდე (2010 წლის პირველ ივლისამდე), არაფინანსური აქტივების მუხლით ირიცხებოდა ყოფილი „საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის“ ბალანსზე, ხოლო „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს“ შექმნის შემდეგ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის პირველი ნოემბრის #15/2053/3-10 წერილის თანახმად აღნიშნული ქონების გადაეცემის მიზნით სამინისტროს უნდა უზრუნველყო აზომვითი ნახაზების და საკადასტრო რუკების წარდგენა, რაც სამინისტროს არ განუხორციელებია.

ვინაიდან 2010 წლის 29 ივნისს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და შეიქმნა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, რომელიც ჩაითვალა აღნიშნული დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ, ამიტომ სამინისტროს, აღნიშნული ქონება უნდა აღერიცხა ბალანსზე ძირითად საშუალებებად (სამინისტროს აღრიცხული აქვს საცნობარო მუხლში - ბალანსგარეშე ანგარიშებზე).

სამინისტროს მიერ დარღვეულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრირდეს იმ სახელმწიფო ორგანომ რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება.

2. ზემოთ აღნიშნული, 2015 წლის 1 იანვრისთვის არსებული 3,274,463 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივებიდან 2015 წლის განმავლობაში გასულია სულ 1,722,027 ლარის ქონება, მათ შორის: 1,216,619 ლარის ღირებულების ქონება ჩამოწერილია წინა წლებში (2007-2014 წლებში) გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე, ე.ი. ფინანსურ ანგარიშგებაში 2015 წლის დასაწყისისათვის ბალანსგარეშე ანგარიშებზე აღნიშნული არაფინანსური აქტივების ნაშთი არასწორია.

გარდა აღნიშნულისა, აგრეთვე გამოვლინდა რომ 2015 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ორი ასფალტსაფარიანი მოედანი, რომლებიც უკვე ირიცხებოდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში, კერძოდ: 2011 წლის 25 ნოემბრიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებული იყო ასფალტსაფარიანი სტადიონი, ხოლო სამინისტროს 2015 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 23,309 ლარის ნარჩენი ღირებულებით; ასევე 2015 წლის 16 დეკემბრიდან ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებული იყო ასფალტსაფარიანი სტადიონი, ხოლო სამინისტროს 2015 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 24,229 ლარის ნარჩენი ღირებულებით;

სამინისტროში არ ტარდება სრულყოფილი ინვენტარიზაციები ქონების არსებობის და მათი მდგომარეობის დასადგენად. კერძოდ, სამინისტროს 2015 წლის 29 ოქტომბრის #01/1039 ბრძანებით ჩატარებული ინვენტარიზაციისას არ ჩატარებულა უძრავი ქონების ინვენტარიზაცია იმ მოტივით, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული

„საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის თანახმად - „უძრავი ქონების ინვენტარიზაცია ტარდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც“, ხოლო სამინისტროს უძრავი ქონების ინვენტარიზაცია ჩატარებული აქვს 2013 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის უძრავი ქონების ინვენტარიზაცია ჩატარებულია ხარვეზებით (რაც დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის 2013 წლის აუდიტის ანგარიშში), რაზეც ასევე მიუთითებს ზემოთ აღნიშნული მატერიალური ფასეულობები, რომელთა უმრავლესობა ფაქტიურად გასულია 2013 წლამდე პერიოდში, რაც 2013 წლის ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი ვერ იქნა, ხოლო ბუღალტრულად და ფინანსურ ანგარიშგებაშიც მათი ჩამოწერა დაფიქსირებულია მხოლოდ 2015 წელს ან ისევ ირიცხება სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების ნაშთების სიზუსტისა და სისრულის შესახებ.

დებიტორული დავალიანება

2015 წლის 31 დეკემბრისთვის დებიტორული დავალიანებები სულ შეადგენდა 15,602,893 ლარს, რომლებიც წარმოშობის პერიოდის და ორგანიზაციების მიხედვით ასახულია ცხრილში:

N	ორგანიზაციის დასახელება	დებეტი თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი	მუხლი
1	სამინისტროს თანამშრომელი (შმაგი ჭურაძე)	327	2014	დასაბრუნებელი ხელფასი	შრომის ანაზღაურება
2	სამინისტროს თანამშრომლები	14,558	1996-2015	მივლინების ხარჯი	მივლინება
3	შპს ატრიუმ+	84,000	2010-2014	დარიცხული პროცენტი	პროცენტი
4	ეროვნული სპორტული ფედერაციები	9,432,001	2012-2015	ლონისძიებების ხარჯები	სუბსიდიები
5	ეროვნული სპორტული ფედერაციები	2,227,000	2012-2015	ლონისძიებების ხარჯები	სხვა ხარჯები
6	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	83,037	2002	საქართველოს კონტროლის პალატის აქტით დარიცხული	სხვა ხარჯები
7	"ახალგაზრდა ელჩები"	65,998	2014	"ახალგაზრდა ელჩები" პროგრამის ფარგლებში	სხვა ხარჯები
8	"ახალგაზრდა ელჩები"	84,597	2015	"ახალგაზრდა ელჩების" პროგრამის ფარგლებში	სხვა ხარჯები
9	დანაკლისი არაფინანსური აქტივებით	3,237,442	2008-2010	2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დამწვარი და განადგურებული ქონება, მოპარული დეფიზიტორი	სხვა მოთხოვნები
11	დანაკლისი ფულადი სახსრებით	62,343	2005	მოპარული სტიპენდია	სხვა მოთხოვნები
12	შპს ატრიუმ+	255,515	2010-2015	დარიცხული პირგასამტეხლო	სხვა მოთხოვნები
13	შპს მ.ჯ. ენდ კომპანი	55,276	2012	ბიუჯეტში დასაბრუნებელი თანხა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოსათვის	სხვა მოთხოვნები
14	შპს "ცისნამი"	717	2015	ჯარიმა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის	სხვა მოთხოვნები
15	საგადასახადო აქტივი	82	2014	ზედმეტად გადარიცხული საშემოსავლო	სხვა მოთხოვნები
	ჯამი	15,602,893			

სამინისტროს მიერ არ ტარდება საკმარისი ღონისძიებები დებიტორული დავალიანებების აღმოსაფხვრელად.

ამავე დროს სამინისტროს მიერ არ სრულდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-4 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად რეკომენდებულია - ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია ჩატარდეს წელიწადში ორჯერ მაინც. ფაქტობრივად 2015 წელს, სამინისტროს 2015 წლის 29 ოქტომბრის #01/1039 ბრძანებით ჩატარებული ინვენტარიზაციისას დებიტორ-კრედიტორების ინვენტარიზაცია ჩატარებულია არასრულყოფილად. კერძოდ, მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესახებ ვერ იქნა წარმოდგენილი შედარების აქტები ან მეორე მხარის დადასტურებები. აუდიტის პროცესში სამინისტროს ეთხოვა წერილების დაგზავნა დებიტორ-კრედიტორებიდან მოთხოვნებსა და ვალდებულებებზე დასტურის წერილების მისაღებად. მიღებულმა შედეგებმა რიგ შემთხვევებში ვერ დაადასტურა ფინანსურ ანგარიშგებაში და ბუღალტრულ აღრიცხვაში დაფიქსირებული ნაშთები. იხ. ცხრილი:

ანგარიში +	დასახელება	ორისის მიხედვით		დადასტურებული	
		01.01.15 საწყისი /დებეტი	01.01.16 საბოლოო /დებეტი	01.01.15 საწყისი/ დებეტი	01.01.16 საბოლოო/დებეტი
1481 1 121	ააიპ ძიუდოს ეროვნ. ფედერაცია	729,072.00	405,702.77	729,072.00	405,702.77
1481 1 135	ააიპ საქ. მშვილდოსნობის ეროვნ. ფედერაცია	26,881.00	92,969.75	26,881.00	92,969.75
1481 1 139	ააიპ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია	144,658.10	346,174.48	დავალიანება არ დაადასტურა	346,174.48
1481 1 172	ააიპ საქ/მაგიდის ჩოგბურთის ეროვნ. ფედერაცია	55,332.00	80,652.00	პასუხი არ მოსულა	55,332 ლარზე პასუხსმგებლობას არ იღებს
1481 1 193	ააიპ საქ/წარდის ასოციაცია	770.00	770.00	პასუხი არ მოსულა	პასუხი არ მოსულა
1482 1 1 1 2 100	ააიპ საქ. ფეხბურთის ფედერაცია	151,498.01	151,498.01	151,498.01	151,498.01
1482 1 2 125	ააიპ საქ. სროლის სახეობათა ეროვნ. ფედერაცია	63,147.00	50,550.00	63,147.00	50,550.00
1482 1 2 139	ააიპ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია	100,000.00	100,000.00	ასოციაცია არ იღებს პასუხის-მგებლობას	ასოციაცია არ იღებს პასუხის-მგებლობას
1482 1 2 302	ააიპ საქ/უნივერსალური ორთაბრძოლების ფედერაცია	-	50,000.00	პასუხი არ მოსულა	პასუხი არ მოსულა
1484	ფეხბურთის ფედერაცია ძველი დებიტორული დავალიანება	83,037.30	83,037.30	83,037.30	83,037.30
1486 732	ააიპ საფეხბურთო კლუბი საჩხერის ჩიხურა	1,505,000.00	1,505,000.00	1,505,000.00	1,505,000.00
1486 759	ააიპ საჩხერის სარაგბო კლუბი ჯრუჭი	90,000.00	90,000.00	90,000.00	90,000.00
1463 1 1 217	შმაგი ჭურამე	327.27	327.27	პასუხი არ მოსულა	პასუხი არ მოსულა
1462 183	ირაკლი მეგრელიშვილი	421.00	421.00	დავალიანება არ დაადასტურა	დავალიანება არ დაადასტურა
1462 2	ძველი დავალიანება	4,969.00	4,969.00	არ გაგზავნილა	არ გაგზავნილა
1462 892	ალექსანდრე სილაგამე	421.00	421.00	არ გაგზავნილა	არ გაგზავნილა
1354 630	შპს „ცისნამი-2“	-	716.91	არ გაგზავნილა	არ გაგზავნილა
1431 1 1 3 1 950	ააიპ ასოციაცია ათინათი	-	9,100.00	-	9,100.0

1431 1 1 3 1 951	ააიპ სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი	-	6,400.00	-	6,400.00
1431 1 1 3 1 952	ააიპ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი	-	4,600.00	-	პასუხი არ მოსულ
1431 1 1 3 1 953	ააიპ მეგობრობის ხიდი ქართლოსი	-	4,600.00	-	პასუხი არ მოსულ
1431 1 1 3 1 954	ააიპ სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბირო	-	3,700.00	-	3,700.00
1431 1 1 3 1 955	ააიპ თელავის განათლების , განვითარების და დასაქმების ცენტრი	-	8,200.00	-	4,540.75
1431 1 1 3 1 956	ააიპ რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრი	-	7,300.00	-	7,300.00
1431 1 1 3 1 957	ააიპ ქუთაისის განათლების , განვითარებისა და დასაქმების ცენტრი	-	11,800.00	-	11,800.00
1431 1 1 3 1 958	ააიპ ძალადობისაგან დაცვის ეროვნ. ქსელის მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი	-	5,500.00	-	პასუხი არ მოსულ
1431 1 1 3 1 959	ააიპ ბორჯღალი	-	6,400.00	-	პასუხი არ მოსულ
1431 1 1 3 1 966	ფ/პ მარიამ სიხარულიძე	-	16,997.00	-	პასუხი არ მოსულ

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი დებიტორული დავალიანების ნაშთების სიზუსტისა და სისრულის შესახებ.

კრედიტორული დავალიანება

ხარვეზები გამოვლინდა კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის კუთხითაც. კერძოდ, რიგ შემთხვევებში სამინისტროს ბალანსში აღრიცხული კრედიტორული დავალიანებების დიდი ნაწილი წარმოადგენს ხანდაზმულ დავალიანებებს, რომელთა იდენტიფიცირება ან ვერ ხერხდება, ან დაბრუნებას არ ექვემდებარება. რამდენადაც არ ტარდება მოთხოვნების/ვალდებულებების ინვენტარიზაცია, შესაბამისად, ვერ ხერხდება აღნიშნული ტიპის დავალიანებების ჩამოწერა. მაგალითად: სამინისტროს კრედიტორულმა დავალიანებებმა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად **1,640,356 ლარი შეადგინა**, აქედან არარეალური და ხანდაზმულია **1,625,201 ათასი ლარი**, რომელიც წარმოშობილია 1996-2004 წლებში ბიუჯეტის სეკვესტრთან დაკავშირებით ამ პერიოდში დარიცხული და აუნაზღაურებელი ფედერაციების დაფინანსების ხარჯებით, გაუცემელი შრომის ანაზღაურებით, სოციალური დახმარებებითა და სტიპენდიებით, ასევე 1996-2002 წლებში საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობისთვის სამინისტროსათვის სანქციის სახით დარიცხული საბიუჯეტო ვალდებულებები, რომლის დარიცხვა დღესაც გრძელდება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთების სიზუსტისა და სისრულის შესახებ.

პირობითი აუდიტორული მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2015 წლის ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხებისა, რეალურად არის წარმოდგენილი ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

სხვა საკითხები

„სხვა საკითხების“ პარაგრაფში ასახულია ის საკითხები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე და არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

1) ბიუჯეტის დაგეგმვის და დამტკიცების ეტაპზე არ იქნა გათვალისწინებული ჭერს ზემოთ მოთხოვნილი ასიგნებები 2,400,000 ლარის ოდენობით. აქედან 1,200,000 ლარი დააკლდა (კოდი 39 02 04) „სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამას“, ხოლო 1,200,000 ლარი დააკლდა (კოდი 39 02 17) „ძიუდოს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამას“. აღნიშნული პროგრამები, შემდგომ შევსებულია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, კერძოდ: საქართველოს მთავრობას 2015 წლის 2 თებერვლის N104 განკარგულებით გამოყოფილია 1,700,000 ლარი 2015 წლის 9-18 აპრილს, ძალისაში ევროპის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით (კოდი 39 02 04), ხოლო საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის N414 განკარგულებით 1,000,000 ლარი ქ. თბილისში 2015 წლის 20-22 მარტს, ძიუდოში გრან-პრის ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით (კოდი 39 02 17).

2) "საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N 422 განკარგულების 1-ლი მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სამინისტროს ასიგნებები 200,000 ლარით შემცირდა (იყო 70,000,000 ლარი, გახდა 69,800,000 ლარი, შემცირდა „საქონელი და მომსახურების“ ხარჯის მუხლი). აგრეთვე, სამინისტროს 2015 წლის დამტკიცებულ ასიგნებებში გათვალისწინებული არ იყო სსიპ - მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის შენახვის ხარჯები ამ უკანასკნელის ლიკვიდაციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში გადასვლასთან დაკავშირებით. ვინაიდან ლიკვიდაციის და გადაცემის პროცედურები გაგრძელდა 2015 წლის ივლისამდე, საჭირო გახდა სამინისტროს ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება სასახლის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რამაც - ჯამში შეადგინა 725,600 ლარი (მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 488,300 ლარი; საქონელი და მომსახურება 236,000 ლარი და სხვა ხარჯები - 1,300 ლარი) - რაც დამტკიცდა „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებით.

3) მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროში დაკმაყოფილებულია საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ლიმიტები, საყურადღებოა მათ მიერ წლის განმავლობაში პროგრამებს/ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობა და სიხშირე, რაც ბიუჯეტის ფორმირების პროცესში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებზე მიუთითებს. 2015 წელს ხარჯთაღრიცხვის ცვლილებები სულ განხორციელებულია 65-ჯერ ჯამური თანხით -

29,814,486 ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 42.7%-ს შეადგენს. მ.შ. ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების საფუძველზე პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის თანხების გადანაწილებამ 1,872,852 ლარი და წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 2.7% შეადგინა, ხოლო საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილებამ 1,803,212 ლარი და - 2.6% შეადგინა;

4) „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (ცვლილებების გათვალისწინებით) დამტკიცებულმა ასიგნებებმა შეადგინა 69,800,000 ლარი, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ (ასიგნებებმა) შეადგინა 94,946,855 ლარი. სხვაობა წარმოადგენს - მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 16,146,855 ლარის და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 9,000,000 ლარის ოდენობით გამოყოფილ თანხებს და შეადგენს 25,146,855 ლარს (დამტკიცებული ასიგნებების 36.03%). ხოლო დაზუსტებულმა გეგმის შესრულებამ შეადგინა 99,72% (გეგმა - 94,946,855 ლარი, ხოლო გადახდილმა თანხებმა (მიზნობრივი გრანტების გარეშე) შეადგინა 94,684,797 ლარი). მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის განსხვავება არ აღემატება 15%-ს;

5) დეკემბრის საკასო ხარჯები (19,040,853 ლარი) 2.35-ჯერ აღემატებოდა წინა 11 თვის საშუალოთვიურ საკასო ხარჯებს (8,108,593 ლარი), რაც გამოწვეული იყო მთავრობის განკარგულებებით სარეზერვო ფონდებიდან გაცემული თანხების შედეგად;

6) საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სამინისტროს მიერ 30 ივნისამდე უნდა დაემტკიცებინა თავისი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს, რაც დამტკიცებულია დავიანებით 2014 წლის 17 სექტემბერს #01/853 ბრძანებით და 2014 წლის 22 სექტემბერს #07/3233 წერილით წარდგენილია ფინანსთა სამინისტროსთვის;

7) 2015 წელს ფონდებიდან (მთავრობის სარეზერვო ფონდი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი) სულ გამოყოფილი იყო 25,146,855 ლარი, რომელმაც დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით შეადგინა 35.92%, დაზუსტებულ ბიუჯეტთან მიმართებით - 36.03 %, ხოლო დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით - 26.49%. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2015 წლის 2 თებერვლის საქართველოს მთავრობის N104 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი 1,700,000 ლარი - ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით და 2015 წლის 3 მარტის საქართველოს მთავრობის განკარგულების N 414-ის საფუძველზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 1,000,000 ლარი - ძიუდოში გრან-პრის ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით გამოყოფილი თანხების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შესაძლებელი იყო, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს მიერ არ იქნა გათვალისწინებული წარდგენილი პირველადი განაცხადი;

8) 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილია 9,000,000 ლარი, მათ შორის: ა) 7,000,000 ლარი, რომლიდანაც 6,684,504 ლარი გამოყოფილი იყო „ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი - თბილისი 2015“-ისთვის საჭირო ორი სპორტული კომპლექსის (ხელბურთის სპორტული კომპლექსი და საწყლოსნო სპორტული კომპლექსი) დასრულებისათვის, ხოლო 315,496 ლარი გამოყოფილია 2017 წელს საქართველოში გასამართი -

ხელბურთში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისათვის ორი სპორტის სასახლის მოსაწყობად საჭირო საპროექტო სამუშაოების დასაფინანსებლად. ბ) 2,000,000 ლარი - ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სპორტული ობიექტების მოწყობისა და აღდგენა-რეაბილიტაციისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად.

2013-2015 წლებში აღნიშნული ღონისძიებისთვის, სამინისტროსთვის სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N1119, 2013 წლის 30 დეკემბრის N2197, 2013 წლის 31 დეკემბრის N2198, 2014 წლის 2 აპრილის N551, 2014 წლის 19 სექტემბრის N1714, 2014 წლის 29 დეკემბრის N2539, 2015 წლის 13 მარტის N527 და 2015 წლის 30 დეკემბრის N2825 განკარგულებებით გამოყოფილია (39 02 07 სპორტისა და ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამის ფარგლებში) 36,500,000 ლარი (მათ შორის 2015 წლის 9,000,000 ლარი). მთავრობის განკარგულებებში (გარდა 2015 წლის 30 დეკემბრის N2825 განკარგულებისა, რომლითაც გამოყოფილი იქნა 2,000,000 ლარი) აღნიშნულია რომ „საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით“ შესყიდვები უნდა განხორციელდებოდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო 2015 წლის 30 დეკემბრის N2825 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის N564 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილია 2,000,000 ლარი, რომლითაც სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს - ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების გზით, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულის მიერ შესაბამისი სამუშაოების/მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისა და წლების მიხედვით დაფინანსების მოცულობის შესაბამისად.

აღნიშნული თანხები გადარიცხულია სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ შპს „სპორტმშენსერვის“ კაპიტალის გასაზრდელად, რომლიდანაც ორ სპორტულ კომპლექსზე (ხელბურთის სპორტული კომპლექსი და საწყლოსნო სპორტული კომპლექსი) ჯამურად დახარჯულია 34,184,504 ლარი. ხოლო დანარჩენი (36,500,000 - 34,184,504) 2,315,496 ლარი წლის ბოლოსთვის და ამჟამად დაუხარჯავია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული თანხის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფის აუცილებლობა არ იყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 31 დეკემბრისათვის დაუხარჯავი საბიუჯეტო თანხებიდან 315,496 ლარი, რომელიც გამოყოფილი იქნა 2017 წელს საქართველოში გასამართი - ხელბურთში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისათვის ორი სპორტის სასახლის მოსაწყობად საჭირო საპროექტო სამუშაოების დასაფინანსებლად (ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთებული განმარტება თუ რატომ გახდა საჭირო 2015 წელს ფონდიდან თანხების გამოყოფა 2017 წელს ჩასატარებელი ღონისძიებისთვის), ხოლო 2,000,000 ლარი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სპორტული ობიექტების მოწყობისა და აღდგენა-რეაბილიტაციისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად. აღნიშნული თანხები დღეის მდგომარეობით არ არის ათვისებული, რის მიზეზსაც წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული საპროექტო სამუშაოების და ინფრასტრუქტურის მოსაწყობად მიმდინარეობს კონსულტაციები და არ არის დაზუსტებული თუ რა თანმიმდევრობით, რა მასშტაბისა და მოცულობის სპორტული ობიექტები უნდა მოეწყოს. აღნიშნული თანხების (2,315,496 ლარი) უდიდესი ნაწილი შპს „სპორტმშენსერვის“ განთავსებული აქვს კომერციული ბანკებში, ხოლო მცირედი ნაწილი განხიდულია დებიტორულ დავალიანებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2,315,496 ლარი წარმოადგენს 2015 წლის ბიუჯეტიდან ავანსად გადარიცხულ თანხებს, რომელთა გათვალისწინება შესაძლებელი იყო 2016 წლის ბიუჯეტში.

9) 2015 წელს სამინისტროში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა აჭარბებდა საშტატო რიცხოვნობის 2%-ს და შეადგენდა 35%-ს. თუმცა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 იანვრის N124 განკარგულებით, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად 2015 წლისთვის მთავრობასთან შეთანხმებული შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განსაზღვრული იყო არაუმეტეს 30 ერთეულით. უნდა აღინიშნოს, რომ შტატით - გეგმით განსაზღვრული რიცხოვნობა შეადგენდა 91, ხოლო ფაქტიურად საშუალოდ მუშაობდა 80 მოსამსახურე, ე.ი. 11 ერთეულის ვაკანსია მუდმივად არსებობდა. ასეთ პირობებში, ბიუჯეტის დაგეგვისას 11 ერთეულით ზედმეტი შტატის და მისი შესაბამისი ზედმეტი შრომის ანაზღაურების გათვალისწინება ბიუჯეტში და ასიგნებების ათვისება არამართლზომიერია;

10) სამინისტროში (კოდი 39 01) შრომის ანაზღაურების ხარჯები შემდეგია:

39 01	სამინისტრო	2014	2015	სხვაობა + -
2.1	შრომის ანაზღაურება	1,969,785	1,969,998	213
2.1.1.1.1	სარგო	1,268,060	1,207,848	-60,212
2.1.1.1.3	პრემია	669,205	413,470	-255,735
2.1.1.1.4	დანამატი	32,520	348,680	316,160

2015 წელს, სამინისტროს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯი 213 ლარით აღემატებოდა 2014 წლის საკასო ხარჯს, რითაც დარღვეულია "საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მოთხოვნა.

2014 წელთან შედარებით 2015 წელს პრემიის სახით გაცემული საბიუჯეტო სახსრების (-255,735 ლარით) შემცირების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 15 ივლისის მიღებული №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 ივლისიდან და რომელმაც შეზღუდა საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წლის განმავლობაში გასაცემი პრემიის მოცულობა და პერიოდულობა. თუმცა, როგორც ზემოთ მოცემულიდან ჩანს, პრემიის სახით გაწეული ხარჯის შემცირების პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა (316,160 ლარით) დანამატის სახით გაცემული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა. ფაქტობრივად 2015 წელს 2014 წელთან შედარებით - პრემია ნაწილობრივ ჩანაცვლებულია დანამატით.

გაცემული პრემიების დასაბუთებულობას აქვს ფორმალური სახე. „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში (39 00) პრემიის გაცემის (გარდა სადღესასწაულო პრემიებისა) შესახებ მინისტრის ბრძანებებსა და უშუალო ხელმძღვანელი პირის მოხსენებით ბარათებში, პრემიის გაცემის დასაბუთებად მითითებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები „დაკისრებული უფლებამოსილების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და

კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის“, ასევე რიგ შემთხვევებში მითითებულია მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დასაქმებულ პირთა წახალისების და მოტივაციის გაზრდა, საჯარო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების შენარჩუნება“, აგრეთვე „საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებითა და სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის“ ან „სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის, ყოველდღიური ფუნქციური დატვირთვისა და თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს მაღალი შეფასების გათვალისწინებით“. აღნიშნული ფაქტიურად წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილების მოთხოვნების გამეორებას სხვადასხვა ინტერპრეტაციით და არ იძლევა ინფორმაციას იმ კონკრეტული გარემოებების შესახებ, რამაც განაპირობა აღნიშნულ თანამშრომელთა წახალისება. სამინისტროს არ გააჩნია თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა;

2015 წელს დანამატის გაცემის ბრძანებებში დასაბუთებად აღნიშნულია „განსაკუთრებული საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით“. ფაქტიურად გამეორებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა. სამინისტროში წლის დასაწყისში გამოცემული ერთი ბრძანების და მასში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ადგილი აქვს კონკრეტულ თანამშრომლებზე წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნის ფაქტებს, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატის. დანამატი წარმოადგენს მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ყოველწლიურად შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში გასაცემ ფულად ჯილდოს. სამინისტროში, მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის N01/106 ბრძანების საფუძველზე, ბრძანების დანართში წარმოდგენილ სამინისტროს 19 თანამშრომელს ყოველთვიურად, 2015 წლის ბოლომდე დაწესებული ჰქონდა დანამატები 24.7 ათასი ლარის ოდენობით.

11) 2015 წელს წარმოდგენლობითი ხარჯები წინა წელთან შედარებით შემცირებულია 20.3%-ით, თუმცა 57.7%-ით არის გაზრდილი 2013 წელთან შედარებით;

12) რიგ შემთხვევებში საწვავი დახარჯულია დიდი ოდენობით (სამინისტროს ავტომანქანები 2015 წლის განმავლობაში, სამუშაო დღეებში, ხშირ შემთხვევებში საწვავის ხარჯის მიხედვით საშუალოდ გადიოდნენ 150-დან 400 კმ-მდე მანძილს). საწვავის ხარჯვის ლიმიტების დასაბუთების შესახებ დოკუმენტები - გაანგარიშებები წარმოდგენილი ვერ იქნა;

13) სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან “ 2015 წლის 27 მაისის N1714 ბრძანების საფუძველზე, 2015 წლის 06 ივნისს სამინისტროს უსასყიდლოდ გადაცემული აქვს ახალი ავტომანქანა „ტოიოტა ქამრი“. აღნიშნული ავტომანქანის გადაცემის აუცილებლობა სამინისტროში არ არსებობდა, მას ისედაც გააჩნდა პირველი კლასის მანქანების იმ რაოდენობაზე მეტი, ვიდრე ეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით იყო განსაზღვრული თანამდებობის პირებისათვის. აღნიშნულით არ არის დაცული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N121 დადგენილების დანართის - გ) და დ) ქვეპუნქტების მოთხოვნები;

14) სამინისტროს ავტომატურიზაციის გეგმა (რომელსაც თან არ ახლდა თხოვნა გამონაკლისების დაშვების თაობაზე) სამსახურებრივი ავტომატურიზაციით სარგებლობის შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელ სახელმწიფო კომისიაში წარდგენილია 2014 წლის 31 მარტს N07/1031 წერილით, რომელზეც სამინისტროს პასუხი არ მიუღია. აღნიშნული გეგმა შემდგომ აღარ განახლებულა. ამავე დროს, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომატურიზაციის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვალის N121 დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით დეპარტამენტის უფროსის ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირებისათვის 4 შემთხვევაში უფრო მაღალი კლასის მანქანებია განპიროვნებული ვიდრე გათვალისწინებული იყო. ამასთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვალის N121 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნით გათვალისწინებული სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების დოკუმენტი;

15) მაღალია გამარტივებული შესყიდვების ხვედრითი წილი სახელმწიფო შესყიდვების მთლიან მოცულობაში. კერძოდ, 2015 წელს სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში გაფორმებული 324 შესყიდვის ხელშეკრულებიდან, ჯამური ღირებულებით 2,225.4 ათასი ლარი, შესყიდვების მთლიანი ღირებულების 55.9% (1,243.6 ათასი ლარი) გამარტივებული შესყიდვის ფორმითაა განხორციელებული (270 ხელშეკრულება);

16) არამართლზომიერია 2012 წლის მთავრობის განკარგულებებით „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების“ მოტივით 2015 წელს ორ შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვების განხორციელება. კერძოდ: ა) „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებების მიერ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის N496 განკარგულების საფუძველზე სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“- დან განხორციელებულია 15,000 ლარის შესყიდვა; ბ) საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N929 განკარგულების საფუძველზე, ნება დაერთოთ განკარგულების დანართით გათვალისწინებული სერვისების IT მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ - „სმართ ლოჯისტიკა“ განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ფაქტობრივად, აღნიშნული დადგენილების საფუძველზე 2015 წელს განხორციელებულია 49,680 ლარის IT მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.

წამყვანი აუდიტორი

უფროსი აუდიტორი

აუდიტორ-ასისტენტი

აუდიტორ-ასისტენტი

გურამ ყავლაშვილი

თეიმურაზ გოდუაძე

რუსუდან აბულაშვილი

გიორგი მურვანიძე